

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
„სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

06/73 მ

09 სექტემბერი, 2014 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა


სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ოპერატორის სამუშაო
სტანდარტისა და პრიორიტეტების სქემის დამტკიცების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 დეკემბრის #01-46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ოპერატორის სამუშაო სტანდარტი (დანართი #1);
2. დამტკიცდეს პრიორიტეტების სქემა (დანართი #2);
3. ბრძანება გაეცნოს ცენტრის ოპერატორებს;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დაღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი #6).

ცენტრის დირექტორის მ/შ:



თეიმურაზ ხარაშვილი

ოპერატორის სამუშაო სტანდარტი

ოპერატორი ვალდებულია 112-დან სსიპ სსდ ცენტრის პროგრამაში შემოსული საქმე (ვარდისფერ ფერში) მყისიერად გახსნას და ნახოს გამოძახების მოტივი.

ერთ რაიონში ორი და მეტი საქმის არსებობის შემთხვევაში იხელმძღვანელოს პრიორიტეტების სქემის მიხედვით. მოახდინოს გამოძახებების სადისპეჩერო ტრიაჟი მათი გამოძახების მოტივებიდან გამომდინარე და გაგზავნოს პირველ რიგში სსდ ბრიგადა იმ გამოძახებაზე, რომელიც იქნება სხვა გამოძახებებზე მაღალი პრიორიტეტი.

ოპერატორი ვალდებულია თავისუფალი სსდ ბრიგადის შემთხვევაში, ან ბრიგადის განთავისუფლების შემთხვევაში, მყისვე მოახდინოს რეაგირება 112-დან შემოსულ საქმეზე და გამოძახების გადაცემა მოახდინოს არაუმეტეს 2 წუთში.

ოპერატორს ევალება რეაგირება მოახდინოს (რეაგირებაში „რეაგირების“ ნიშანზე დაჭერა იგულისხმება, რითაც 112-ის ოპერატორი იღებს ინფორმაციას, რომ აღნიშნულ გამოძახებაზე გასულია ბრიგადა) საქმეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი ყავს ან გაუნთავისუფლდა ბრიგადა და უშვებს შემოსულ გამოძახებაზე.

თავისუფალი სსდ ბრიგადის არყოლის შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია გამოძახებაზე გაგზავნოს ახლომდებარე რაიონიდან უახლოესი თავისუფალი სსდ ბრიგადა. ახლომდებარე რაიონის შერჩევის მიზნით, ოპერატორს დასახმარებლად შეუძლია დაუკავშირდეს იმ რაიონის ბრიგადის ექიმს, რომელშიცაა შემოსული გამოძახება.

ოპერატორი ვალდებულია 112-დან შემოსულ საქმეზე გაუშვას ის თავისუფალი სსდ ბრიგადა, რომელიც ტერიტორიულად არის ახლოს გამოძახების ადგილთან, ასეთი ბრიგადა შესაძლებელია იყოს სხვა გამოძახებიდან განთავისუფლებული და ბრუნდებოდეს ქვესადგურში.

ოპერატორი ვალდებულია გამოძახებაზე გაშვებული ბრიგადა გადაამისამართოს სხვა საქმეზე, თუკი 112-დან შემოვა გამოძახება უფრო მაღალი პრიორიტეტით და არ გეყავს სხვა თავისუფალი სსდ ბრიგადა.

ოპერატორი ვალდებულია დაუკავშირდეს სსდ ბრიგადას და გაარკვიოს მისი ადგილმდებარეობა და დაყოვნების მიზეზი იმ შემთხვევაში თუ სსდ ბრიგადა დაკავებულია 1 საათზე მეტ ხანს, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში 1.5 საათზე მეტ ხანს.

112-დან შემოსულ საქმეზე თავისუფალი ბრიგადების არყოლის გამო (ახლომდებარე რაიონებიდანაც) დაგვიანების შემთხვევაში, ინიციატორისთვის სატელეფონო კონსულტაციის საჭიროების დროს, ოპერატორი ვალდებულია საქმის კურსში ჩააყენოს ცვლის უფროსი, რომლის მიერაც მოხდება კონკრეტული რჩევა დარიგებების მიცემა პაციენტზე ბრიგადის მისვლამდე.

ოპერატორს ევალება თავისუფალი სსდ ბრიგადის არყოლის დროს აცნობოს ინიციატორს შესაძლო დაგვიანების შესახებ და გამოძახებაზე დაგვიანებით (თავისუფალი ბრიგადების არყოლის გამო) გაშვების შემთხვევაში, სსდ ბრიგადაზე გამოძახების გადაცემამდე დაუკავშირდეს ინიციატორს და აცნობოს ბრიგადის გამოსვლის შესახებ მასთან. იმ შემთხვევაში თუ ინიციატორი გააუქმებს გამოძახებას და განაცხადებს, რომ მას აღარ ესაჭიროება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, გაუქმდეს გამოძახება ოპერატორის მიერ და აღარ გადაეცეს ასეთი გამოძახება თავისუფალ ბრიგადას. შენიშვნის ველში უნდა დაფიქსირდეს, რომ გააუქმა ინიციატორმა, გაუქმების დრო, თუ ვინ გააუქმა გამოძახება და გაუქმების მიზეზები. მაგ. გააუქმა დაგვიანების გამო, უკეთ გახდა პაციენტი და ა.შ.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქრონიკულ გამომძახებელთან მორიგეობის განმავლობაში 3-ჯერ და მეტჯერ გამოძახების შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია საქმის კურსში ჩააყენოს ცვლის უფროსი ექიმი, რომელმაც ბრიგადის გაშვებამდე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს სატელეფონო კონსულტაცია.

ოპერატორი ვალდებულია სსდ ბრიგადაზე გადაცემის, გასვლის და ჩახურვის დროები დააფიქსიროს იმ დროით, როდესაც ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას ზემოთ აღნიშნული დროების პროგრამაში, ელექტრონულ სამედიცინო ბარათში ჩაწერის დროს.

ოპერატორი ვალდებულია უპასუხოს 112-ის ოპერატორის მიერ პროგრამაში სასაუბრო ველში დასმულ კითხვებს და აცნობოს ასევე ინიციატორის მიერ გაუქმებული გამოძახების შესახებ.

ოპერატორი ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს და გაუშვას მყისიერად პოლიცია და აცნობოს ცვლის უფროსს მაშინვე, თუ სსდ ბრიგადა დაუკავშირდება შემდეგი ტექსტით: ვითხოვ/მჭირდება/შემითანხმეთ „ემერჯენსი“ (შესაძლებელია ბრიგადამ პირდაპირ სიტყვა „ემერჯენსის“ ხსენების გარეშეც ითხოვოს პოლიციის დახმარება, ოპერატორი ვალდებულია მაშინვე მოახდინოს რეაგირება)

ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ერთი ან რამდენიმე ვალდებულების ვერ განხორციელების შემთხვევაში, ოპერატორი ვალდებულია მიმართოს ცვლის უფროს ექიმს და აცნობოს მიზეზ(ებ)ი.

ოპერატორი ვალდებულია მყისიერად აცნობოს ცვლის უფროს ექიმს 112-დან შემოსული საქმეზე, რომლის მოტივებია: ავარია, უბედური შემთხვევა, კატასტროფა, სუიციდი, სიმაღლიდან ვარდნა, კრიმინალი, სსდ ბრიგადაზე აგრესიის შემთხვევები, გვამი მისვლამდე, თანდასწრებითი გვამი, ხანძარი და ნებისმიერი საქმე სადაც 112-ის საქმეში მითითებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარებასთან ერთად, რომელიმე სხვა ოპერატიული სამსახურის საჭიროება. მაგ. პოლიცია, სამაშველო, ან ორივე ერთად, ასევე სხვა შემთხვევები, რომლებიც საჭიროებენ ცვლის უფროსის დაუყოვნებლივ საქმის კურსში ჩაყენებას.

ოპერატორი ვალდებულია გამოძახების მიღების, გადაცემის ან შესრულების ნებისმიერი სახის შემაფერხებელი ფაქტორის შესახებ ინფორმაცია დააფიქსიროს შენიშვნის ველში.

ოპერატორს ევალება 112-დან შემოსული იდენტური საქმის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება იდენტურ საქმეზე, მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ძირითადი საქმე იქნება რეაგირებული. რეაგირებულ იდენტურ საქმეს ვაუქმებთ ბარათის ნომრის მინიჭების გარეშე, ხოლო იდენტური საქმე(ებ)ის ID (საიდენტიფიკაციო) ნომრებს ვაფიქსირებთ ძირითადი საქმის შენიშვნის ველში.

ოპერატორი ვალდებულია მორიგეობის დაწყებისას გადაამოწმოს მის სამუშაო რაიონებში მომუშავე და მწყობრიდან გამოსული სსდ მანქანების რაოდენობა რაიონული მენეჯერებისგან ინფორმაციის აღების საშუალებით.

თუ ოპერატორს მიეწოდება ინფორმაცია სსდ ბრიგადის მძღოლის, ექიმის, რაიონის ავტოტექნიკოსის ან რაიონის მენეჯერის მიერ სსდ მანქანის მწყობრიდან გამოსვლის ან საწვავზე გასვლის შესახებ, ოპერატორი ვალდებულია გახსნას აღნიშნულ სსდ მანქანაზე ტექნიკური ბარათი. რემონტის შემთხვევაში მიუთითოს ტექნიკური ბარათის ტიპი - რემონტი და შენიშვნის ველში დააფიქსიროს დაზიანების მიზეზი. საწვავის შევსების შემთხვევაში გახსნას ტექნიკური ბარათის ტიპი - საწვავი

ოპერატორი ვალდებულია მორიგეობის დაწყებისას გადაამოწმოს მის სამუშაო რაიონებში მორიგე ექიმების შემადგენლობა, მიუხედავად პროგრამაში წინასწარ მითითებული ექიმების სიისა, რომლების მორიგეობენ აღნიშნულ დღეს.

იმ შემთხვევაში თუ სსდ მანქანა გამოვა მწყობრიდან გზაში, გამოძახების ადგილზე მისვლამდე ან პაციენტის ჰოსპიტალიზაციის დროს, აღნიშნულის შესახებ ოპერატორმა უნდა აცნობოს მაშინვე ცვლის უფროსს, რომელიც გადაწყვეტს მხოლოდ სსდ მანქანა გაიგზავნოს აღნიშნული გამოძახების შესასრულებლად მწყობრიდან გამოსული სსდ მანქანის ბრიგადით, თუ ახალი ბრიგადა ახალი სსდ მანქანით.

იმ შემთხვევაში თუ მწყობრიდან გამოვა სსდ მანქანა ქვესადგურში დაბრუნების დროს გზად, ამ შემთხვევაში მწყობრიდან გამოსული მანქანის დასახმარებლად საჭიროების შემთხვევაში ახალი სსდ მანქანა გაიგზავნება ბრიგადის თანხლებით.

პრიორიტეტების სქემა

მაღალ პრიორიტეტული საქმეები:

1. უბედური შემთხვევები:

- 1.1. ავარია;
- 1.2. ხანძარი;
- 1.3. სიმაღლიდან ვარდნა;
- 1.4. საწარმოო ტრავმა;
- 1.5. ძალადობა - სუიციდი, ნაცემი, დაჭრა.
- 1.6. ბუნებრივი კატაკლიზმები-კატასტროფა;

შენიშვნა: თითოეულის უკან დგას პაციენტის მდგომარეობები, რომლებიც საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას.

2. პანიკური ზარი:

2.1. ზუსტი ინფორმაციის მოპოვების შეუძლებლობა გამოძახების ადგილზე პანიკის, ინიციატორის ემოციური რეაქციის , გარშემო საფრთხის არსებობის გამო. ოპერატორ-ზარის მიმღებს ესმის ტელეფონში შემთხვევის ადგილიდან აღელვებული ხმები, აფეთქების, სროლის, კონფლიქტის, პაციენტის მძიმე მდგომარეობით გამოწვეული გარშემომყოფთა ემოციური რეაქციების ხმები

3. ნებისმიერი SOS მოტივი, როდესაც გამოძახების მოტივი ვერ დგინდება სუბიექტური მიზეზების გამო:

- 3.1. ინიციატორი ბავშვია
- 3.2. ინიციატორი მოხუცია
- 3.3. ენობრივი ბარიერი ინიციატორთან
- 3.4. მენტალური ბარიერი ინიციატორთან
- 3.5. ზარის შეწყვეტა ტექნიკური მიზეზების გამო; უკუკავშირის ვერ დამყარება ინიციატორთან.

4. პაციენტის კრიტიკული და პოტენციურად კრიტიკული მდგომარეობები:

- 4.1. პოლიტრავმა
- 4.2. ლულოვანი ძვლების მოტეხილობა
- 4.3. სისხლის დანაკარგი ერთ ლიტრზე მეტი
- 4.4. მშობიარობა
- 4.5. გინეკოლოგიური პრობლემები სისხლდენის სახით შოკის ნიშნებით
- 4.6. გულყრა, კრუნჩხვა (მიზეზი ტრავმა, ტემპერატურა, ეპილეფსია)
- 4.7. უცხო სხეული სასუნთქ გზებში
- 4.8. სველი და მშრალი დახრჩობა
- 4.9. ინტოქსიკაციები (CO, მედიკამენტით, ქიმიური, ბიოლოგიური, ატომური, ბირთვული აფეთქების შედეგად, კვებითი, ალკოჰოლური).

- 4.10. ალერგია-გამონაყარი სუნთქვის და ყლაპვის გამწვანებით, გულისრევა-თავბრუსხვევა, შეშუპებით, დაბალი წნევით.
- 4.11. დამწვრობა
- 4.12. ტრავმა (მენჯის ტრავმა, ქ/ტ ტრავმა, ხერხემლის ტრავმა)
- 4.13. ელექტროტრავმა
- 4.14. გულის გაჩერება
- 4.15. კარდიოლოგიური (გულის) პრობლემები: გულის ანგინა
- 4.16. სუნთქვის გაჩერება
- 4.17. სუნთქვის გამწვანება - ასთმური შეტევა და სხვა.
- 4.18. ტკივილი გულმკერდში - გული, სუნთქვა უჭირს, დაბალი წნევა.
- 4.19. აფეთქება
- 4.20. უგონო
- 4.21. დაჭრილი
- 4.22. შოკის ნიშნები (ტრავმული, ჰემორაგიული, ჰიპოვოლემიური, ენდო-დაეგზოტოქსიური, ნეირო- , კარდიო- და არითმოგენული)
- 4.23. გადაციება/მოყინვა

საშუალო პრიორიტეტული საქმეები:

- 1. შხამიანი ცხოველის/მწერის ნაკბენი
- 2. მეტყველების გამწვანება
- 3. დიაბეტი
- 4. ფსიქიური აშლილობა
- 5. ჰიპოთერმია/ჰიპერთერმია (წლამდე ბავშვი მაღალი პრიორიტეტი)
- 6. მუცლის ტკივილი
- 7. თავის ტკივილი
- 8. წევს- დიაგნოზი დაუდგენელია

დაბალ პრიორიტეტული საქმეები:

- 1. ნაკბენი - ძუძუმწოვრის ნაკბენი (საჭიროებს ქირურგის ჩარევას)
- 2. ტკივილი სახსრის, კუნთის
- 3. მაღალი წნევა
- 4. ზოგადად ცუდად არის (საერთო სისუსტე)
- 5. ფსიქოემოციური აბილიობა
- 6. ალკოჰოლური სიმთვრალე
- 7. ნაბახუსევი
- 8. ქრონიკული მდგომარეობები გამწვავების გარეშე, აბსტინენცია
- 9. თვალის ტკივილი/ტრავმა (ქავილი, ცრემლდენა, ტრავმა მხედველობის დარღვევის გარეშე)